

სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სამართლებრივი კონტროლის
პრობლემები საქართველოში

მარიამ კაპანაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
ფაკულტეტზე საჯარო სამართალი და პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ილია წიკლაური, დოქტორანტი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ კაპანაძე

30.06.2020

აბსტრაქტი

სურსათის უვნებლობა და ხარისხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს. საქართველოში სურსათის უვნებლობის დღევანდელი სისტემის ჩამოყალიბებასა და განვითარებას არც თუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. ამ ისტორიის მანძილზე იხვეწებოდა და დღემდე იხვეწება კანონმდებლობა. მიუხედავად ამისა, საქართველოს მიერ აღნიშნული სფეროს სამართლებრივი კონტროლის პროცესი შესაძლოა მაინც შეიცავდეს გარკვეულ ხარვეზებს.

კვლევის ძირითადი მიზანია სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სამართლებრივი კონტროლის პრობლემების წარმოჩენა. ამ მიზნის მიღწევისთვის კი მნიშვნელოვანია იმის გაანალიზება, განვითარების რა ნაბიჯები გაიარა სურსათის უვნებლობის სისტემაში საქართველოში, ასევე რა ვალდებულებები აკისრია სახელმწიფოს ასოცირების შეთანხმების თანახმად სურსათის უვნებლობის სფეროში, მნიშვნელოვანია აგრეთვე იმის განხილვაც, თუ როგორი მდგომარეობაა დღეს ამ კუთხით და რა გამოწვევების წინაშე დგას საქართველო.

აღნიშნული კვლევა ეფუძნება ქართულენოვანი და უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვას, ასევე, სურსათის უვნებლობის სისტემაში საქართველოს და ევროკავშირის რეგულაციების შედარებით ანალიზს, აგრეთვე კვლევა დაფუძნებულია სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული სახელმწიფო კონტროლის ყოველწლიური ანგარიშებისა და სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვაზე.

ზემოთხსენებული კვლევისა და შესაბამისი წყაროების გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემური საკითხი. კერძოდ, ის, რომ ყოველწლიურად სახელმწიფო კონტროლი არ ეხება ყველა ობიექტს, აქვე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოჯახური წარმოების სუბიექტზე გავრცელებული საკანონმდებლო რეგულაციები. ასევე, გამოიკვეთა პრობლემა კონტროლის განმახორციელებელი

უფლებამოსილი პირების კომპეტენციასთან დაკავშირებით. აქვე აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგად წარმოჩინდა სახელმწიფოს მიერ სურსათის უვნებლობის პრინციპების, განსაკუთრებით კი გამჭვირვალობის პრინციპის უგულვებლოდა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კი, კვლევამ ცხადყო, რომ აუცილებელია სურსათის უვნებლობის სფეროს კიდევ უფრო განვითარება და გაუმჯობესება.

ძირითდი საძიებო სიტყვები: სურსათის უვნებლობა და ხარისხი, სურსათის ეროვნული სააგენტო, სახელმწიფო კონტროლი, უფლებამოსილი პირები, ასოცირების შეთანხმება, ევროკავშირი.

Abstract

Food safety and quality is one of the most important issues directly related to universally recognized human rights. The establishment and development of the current food safety system in Georgia hasn't a long history. Throughout this history, legislation has been and continues to be improved. Nevertheless, the process of legal control of this system by Georgia may still contain some gaps.

The main goal of the research is to present the problems of food safety and quality legal control. In order to achieve this goal, it is important to analyze the steps taken by the food safety system in Georgia, also what are the obligations under the State Association Agreement in the field of food safety. It is also important to discuss of the current situation and challenges facing Georgia.

The study is based on a review of Georgian and foreign language scientific literature, also, a comparative analysis of Georgia and EU regulations in the food safety system. The study is also based on review of every year state control reports published by the National Food Agency and law cases.

As a result of the above research and analysis of relevant sources, revealed several problematic issues. In particular, the fact that every year state control doesn't apply to all facilities, here is also legislative regulations on the subject of family production, which are especially important. Also, there was a problem with the competence of the authorized persons who are exercising control. It should be noted that the study revealed the state's disregard for the principles of the food safety, especially the principle of transparency. Based on all the above, the study showed, that it is necessary to further develop and improve the field of food safety.

Key Words: Food safety and quality, National Food Agency, state control, authorized person, State Association Agreement, EU.